ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 364

7 დეკემბერი
"---" -------- 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ძევრის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის N18.917.1333 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ძევრის, დოესის, კობარეთის და გარე კახეთის ქუჩებს შორის არსებული კვარტლის საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 თებერვლის N28 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში, კერძოდ, საპროექტო არეალიდან ამოირიცხოს ორი საკადასტრო ერთეული (N01.17.13.007.017; 01.17.13.007.005;).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**